



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთიულურ-გუდამაყრული დიალექტი

მთიულურ-გუდამაყრული დიალექტი, ქართული ენის დიალექტი, რომელზედაც მეტყველებს საქართველოს ორი ისტ.-გეოგრ. კუთხის - მთიულეთისა და გუდამაყრის მოსახლეობა.

მ.-გ. დ-ში ორი კილოკავი გამოიყოფა. ისინი ზუსტად ლოკალიზებულ გეოგრ. სივრცეშია მოქცეული. მთიულურ და გუდამაყრულ კილოებს ძირითადად ინტონაცია განასხვავებს. მთიულურში მახვილი ფიქსირებულია სიტყვის ან რიტმიკული ჯგუფის ბოლოს (ბოლოდან მეორე მარცვალზე), გუდამაყრულში კი - სიტყვის ან რიტმიკული ჯგუფის დასაწყისში. ამ მხრივ გუდამაყრული მთის სხვა კილოებთან ავლენს საერთოს. გუდამაყრულში მახვილიანი მარცვალი უმახვილოსაგან გამოირჩევა მაღალი ინტენსივობითა და ტონის სიმაღლით. მ.-გ. დ-ში, ისევე როგორც ქართ. ენის სხვა დიალექტებში, ენობრივი მახვილი დაცულია ლექსშიც.

მ.-გ. დ-ში შემონახულია **ჳ** ფონემა. გვხვდება ნახევარხმოვანი, რ-იც პირისნიშნისეული ჰ-ს ან ს-ს ფონეტ. ვარიანტია. შენარჩუნებულია-ავ თემისნიშნისეული ვ-ს ადგილი სონორის შემცველ თანხმოვანთკომპ-ლექსის მომდევნოდ ზმნის პირიან და უპირო ფორმებში (იანს-ის, მოკლვა...). სახელთა ბრუნვაში ერთზე მეტმარცვლიან -ა, -ია სუფიქსიან სახელებსა და -ა ხმოვანფუძიან საკუთარ სახელებში სამ ბრუნვაში (სახ., ნათ. და მოქ.) შენარჩუნებულია -ღლლ-ი ხმოვნიანი დაბოლოება: გოჩაღ ლლ გოჩაი, გოჩაღს, გოჩაის. მრავლობითი რიცხვის წარმოებისას -ებ-იანი მრავლობითის გამოყენება უფრო ხშირია, თუმცა შენარჩუნებულია ნართანიანი მრავლობითიც: ორანი ძროხანი (ორანი აქ კნინობითის ფორმაა - ცალკე ორა ან ორაღ არ დასტურდება) სამნი ძმანი. მეცხვარეთა მეტყველებაში დაცულია ოცობითი თვლის სისტემა: ექვსოცი, შვიდოცი...

განსაკუთრებით მდიდარია მ.-გ. დ-ის დარგობრივი (მეცხოველეობა, პურეული კულტურები, მეფუტკრეობა, შინაური რენვა...) ლექსიკა. -ელ და -ურ სუფიქსებით გარჩეულია ვინ და რა ჯგუფის სახელები ზმნისართებისაგან ნაწარმოებ ბედსართავებშიც: სადაველი (ვინ), სადაური (რა). მთის სხვა კილოების მსგავსად მ.-გ. დ-შიც დასტურდება ლექსიკური ნასესხობები მეზობელი ჩრდ. კავკ. ხალხთა ენებიდან.

ლიტ.: ზ ვ ი ა დ ა უ რ ი ნ., ნახურ-დაღესტნურ ენათა ლექსიკა ქართული ენის მთის დიალექტებში, «ეთიმოლოგიური ძიებანი», 1997 #6; კ ა ი შ ა უ რ ი ლ., მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967; ჩ ი ქ თ ბ ა ვ ა რ ნ., მთიულურის თავისებურებანი «ენიმკის მოამბე», 1937, ტ. 2, ნაკვ. 1; ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ბ., ქართული დიალექტოლოგია, ტ. 1., თბ., 1989.

მ. კობაიძე
